



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 14

2016 წლის 28 იანვარი

ქ. თბილისი

„ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისთვის  
სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის გამოცხადების,  
კონკურსის პროგრამა და პირობებისა და საკონკურსო  
დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“  
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის 2016 წლის 20 იანვრის N08 ბრძანებაში  
ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N57929, 25.01.2016) საფუძველზე,

გბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 20 იანვრის N08 ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ დანართი N1-ის მე-13 მუხლში თანდართული დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

მუხლი 13. სტაჟირების ვადებისა და ქვეყნების ხარჯთაღრიცხვის ცხრილი

#	ქვეყნები	ყოველთვიური სტიპენდია (მოიცავს საცხოვრებელ და დღიურ/კვების, შიდა ტრანსპორტირების ხარჯებს)	
		ევრო	ეკვივალენტი ლარი
1	შვეიცარია, დანია, ირლანდია, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, ლიხტენინი, ნორვეგია, იაპონია, ახალი ზელანდია, ავსტრალია, სამხრეთ კორეა	დოქტორი - EUR 1400	3747
		დოქტორანტი - EUR 1150	3078
2	ბელგია, ჩეხეთის ესპუბლიკა, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, ხორვატია, კვიპროსი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, სლოვენია, ისლანდია, თურქეთი	დოქტორი - EUR 1100	2944
		დოქტორანტი - EUR 1000	2677
3	ლათინური ამერიკის ქვეყნები; სამხრეთ აფრიკა, ჩინეთი, ინდოეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, მალტა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია	დოქტორი - EUR-900	2409
		დოქტორანტი - EUR 750	2007
4	ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, სერბია და კოსოვო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, რუსეთი, საქართველო, მოლდავეთი, უკრაინა, ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მოროკო, პალესტინა, სირია, ტუნისი	დოქტორი - EUR-850	2275
		დოქტორანტი - EUR-700	1874
5	ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა	დოქტორი - USD 1800	4445
		დოქტორანტი - USD 1600	3951

შენიშვნა: ევროკავშირის პროგრამების სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრული ყოველთვიური სტიპენდია ცხრილში მოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსებით, 2016 წლის 25 იანვრის მდგომარეობით.

1 EUR = 2.6766 GEL

1 USD = 2.4694 GEL